10/12/2020

მანის მიტროპოლიტი: “ეკლესიისა და მედიცინის ურთიერთობა”

მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარი, მანის მიტროპოლიტი ქრიზოსტომოსი ბერძნულ საინფორმაციო სააგენტო “**Orthodoxia News Agency**”-სთან საუბრისას შეეხო რელიგიისა და მეცნიერების კავშირს ერთმანეთთან და განაცხადა:

“ეკლესია მუდამ ჯანმრთელობისა და მშვიდობისთვის ლოცულობს და როდესაც ვლოცულობთ, ადამიანს ვგულისხმობთ, როგორც სულიერი და ხორციელი არსება. ეკლესიის სამოძღვრო მიდგომა ხვდება მედიცინის და ისინი ადამიანური ტკივილის განკურნებას წარმოშვებენ. რელიგია არ მოდის მეცნიერებასთან დაპირისპირებაში. ეს ორი პარალელური გზაა. სხეულზე ზრუნვა მოვალეობაა, ხოლო უგულვებელჰყოფა – ცოდვა... რელიგიისა და მეცნიერების ერთმანეთთან დაკავშირება მნიშვნელოვანია, მაგრამ მეცნიერებას საზღვრები გააჩნია, რომლის მიღმა უკვე სულიერი სამყარო იწყება, სადაც წარმოიშვება სასწაული. მედიცინა და რელიგია არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს და არც უნდა ეწინააღმდეგებოდნენ”.

— wenews.ge